

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის

2012 წლის 29 თებერვლის სხდომის

ოქმი №3

სენატის სხდომას, წევრთა სიითი შემადგენლობის 25 წევრიდან, ესწრებოდა 21. სხდომას უძღვებოდა სტუ-ს სენატის სპიკერი, პროფ. ჯემალ გახოკიძე.

სხდომის თავმჯდომარემ სენატის წევრებს გააცნო დღის წესრიგი (იხ. დანართი) და კენჭისყრაზე დააყენა მისი დამტკიცების საკითხი.

**წარმოდგენილი დღის წესრიგი კენჭის ყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.**

**სპიკერი:** განვიხილოთ დღის წესრიგის პირველი საკითხი – 2012 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ – მომსახურებელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

**პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი:** წარმოგიდგენთ სტუ-ს 2012 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში შესატან ცვლილებებს:

1. სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთი ბიუჯეტის სახელმწიფო ბიუჯეტის გრაფაში “შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების” მუხლიდან 100 000 ლარი გადატანილ იქნეს “სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების საკონსულტაციო, სანოტარო, თარგმნის მომსახურების” ხარჯების პუნქტში, ხოლო – 300 000 ლარი გადატანილ იქნეს იგივე მუხლის “კულტურული, სპორტული და საგანმანათლებლო ღონისძიებების ხარჯების პუნქტში”
2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის საკუთარი შემოსავლებიდან “ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავლების” ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთი ბიუჯეტის ხარჯთაღრიცხვაში “შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების” მუხლიდან – 1 008 ლარი გადატანილ იქნეს “სამეცნიერო ხარჯების” მუხლში სამეცნიერო შრომათა კრებულის გამოსაცემად, ხოლო – 1 650 ლარი კავშირგაბმულობის ხარჯების მუხლში.

3. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საშემოსავლო ნაწილი სახელმწიფო საბიუჯეტო სახსრებით დაფინანსებული ასიგნებები და შესაბამისად ხარჯვითი ნაწილიც გაიზარდოს 489 048 ლარით, საიდანაც – 462 400 ლარი განკუთვნილია „სტუ-ს ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტისთვის“; 9 708 ლარი განკუთვნილია „ენსორული ელექტრონიკისა და მასალათმცოდნეობის სამეცნიერო-ტექნოლოგიური ცენტრისათვის“, ხოლო – 16 940 ლარი „გეოეკოლოგიური მონიტორინგის განყოფილებისათვის“.
4. სტუ-ს ვ. ჭავჭავანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტის დამტკიცებულ ბიუჯეტში განხორციელდეს ცვლილება, კერძოდ: შრომის ანაზღაურების ხელფასების პუნქტიდან 660 ლარი გადატანილ იქნეს დანამატის პუნქტში.
5. სტუ-ს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დამტკიცებულ ბიუჯეტში: არაფინანსური აქტივების, ელექტრო მოწყობილობებისა და რადიოსატელევიზიო, საკომუნიკაციო აპარატურის, ოპტიკური ხელსაწყოების მუხლიდან 5600 ლარი გადატანილ იქნეს სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობის მუხლის კადრების მომზადებასთან, გადამზადებასთან და კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებული ხარჯების მუხლში.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის პირველი საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად დამტკიცდა.

#### ბ ა დ ა ვ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2012 წლის 29 თებერვლის №3 სხდომაზე პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს 2012 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

*სენატის წევრთა გადაწყვეტილებით, დამტკიცდა სტუ-ს 2012 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში განსახორციელებელი ცვლილებები, კერძოდ:*

1. სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთი ბიუჯეტის სახელმწიფო ბიუჯეტის გრაფაში “შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების” მუხლიდან 100 000 ლარი გადატანილ იქნეს “სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობის

საკონსულტაციო, სანოტარო, თარგმნის მომსახურების” ხარჯების პუნქტში, ხოლო – 300 000 ლარი გადატანილ იქნეს იგივე მუხლის “კულტურული, სპორტული და საგანმანათლებლო ღონისძიებების ხარჯების პუნქტში”

2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის საკუთარი შემოსავლებიდან “ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავლების” ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთი ბიუჯეტის ხარჯთაღრიცხვაში “შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების” მუხლიდან – 1 008 ლარი გადატანილ იქნეს “სამეცნიერო ხარჯების” მუხლში სამეცნიერო შრომათა კრებულის გამოსაცემად, ხოლო – 1 650 ლარი კავშირგაბმულობის ხარჯების მუხლში.
3. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საშემოსავლო ნაწილი სახელმწიფო საბიუჯეტო სახსრებით დაფინანსებული ასიგნებები და შესაბამისად ხარჯვითი ნაწილიც გაიზარდოს 489 048 ლარით, საიდანაც – 462 400 ლარი განკუთვნილია „სტუ-ს ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტისთვის“; 9 708 ლარი განკუთვნილია „სენსორული ელექტრონიკისა და მასალათმცოდნეობის სამეცნიერო-ტექნოლოგიური ცენტრისათვის“, ხოლო – 16 940 ლარი „გეოეკოლოგიური მონიტორინგის განყოფილებისათვის“.
4. სტუ-ს ვ. ჭავჭავანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტის დამტკიცებულ ბიუჯეტში განხორციელდეს ცვლილება, კერძოდ: შრომის ანაზღაურების ხელფასების პუნქტიდან 660 ლარი გადატანილ იქნეს დანამატის პუნქტში.
5. სტუ-ს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დამტკიცებულ ბიუჯეტში: არაფინანსური აქტივების, ელექტრო მოწყობილობებისა და რადიოსატელევიზიო, საკომუნიკაციო აპარატურის, ოპტიკური ხელსაწყოების მუხლიდან 5600 ლარი გადატანილ იქნეს სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლის კადრების მომზადებასთან, გადამზადებასთან და კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებული ხარჯების მუხლში.

**პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი:** წარმოგიდგენთ საკითხებს, რომელებიც დღის წესრიგით არ იყო გათვალისწინებული. პირველი საკითხი გახლავთ სტუ-ს მოიჯარეთა: შპს „მეგატრონის“ (დირექტორი, ნ. მუსერიძე), შპს „ვილა ძარას“ (დირექტორი, დ. ელიზბარაშვილი) და შპს „მრეწველობის განვითარება კავკასიაში“ (დირექტორი, ვ. მამალაძე) მიმართ არსებული საიჯარო დავალიანების გადახდის გრაფიკის შექმნის შესახებ, რომლის თაობაზეც სენატის წინა სხდომაზე ვიმსჯელებთ და თქვენი თანხმობის შემდეგ, წარმოდგენილი საკითხი ოფიციალურად შევა ძალაში.

**სენატმა დაამტკიცა წარმოდგენილი საიჯარო დავალიანების გადახდის გრაფიკები.**

## **ბ ა დ ა ვ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №2**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2012 წლის 29 თებერვლის №3 სხდომაზე პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს მოიჯარეთა: შპს „მეგატრონის“ (დირექტორი, ნ.მუსერიძე), შპს „ვილა ძარას“ (დირექტორი, დ.ელიზბარაშვილი) და შპს „მრეწველობის განვითარება კავკასიაში“ (დირექტორი, ვ.მამალაძე) მიმართ არსებული საიჯარო დავალიანების გადახდის გრაფიკის შესახებ.

**სენატმა დაამტკიცა წარმოდგენილი საიჯარო დავალიანების გადახდის გრაფიკები.**

**პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი:** განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით თელავის №3 საჯარო სკოლა ექვემდებარება პროფილურ გარდაქმნას, კერძოდ უნდა ჩატარდეს სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები რომელზეც, მეურვეობას იღებს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ამ საკითხთან დაკავშირებით მოლაპარაკებები მიმდინარეობას განათლების სამინისტროს წარმომადგენლებთან.

**სპიკერი:** მაინტერესებს, რამდენად სასიკეთო და მნიშვნელოვანია ამ სკოლაზე მეურვეობა ჩვენი უნივერსიტეტისათვის?

**პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი:** პირველ რიგში ეს ჩვენი უნივერსიტეტის პიარია, ასევე მაღალ კლასებში მოხდება ჩვენი

პროგრამების ინტეგრირება, სკოლაში ჩატარდება საჯარო ლექციები და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, თელავის №3 საჯარო სკოლის მოსწავლეები იქნებიან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პოტენციური სტუდენტები.

*სენატმა გადაწყვიტა, მიეცეს თანხმობა სტუ-ს ადმინისტრაციას ჩაატაროს თელავის №3 საჯარო სკოლის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები.*

### **ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №3**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2012 წლის 29 თებერვლის №3 სხდომაზე პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა რექტორთან შეთანხმებით წარმოადგინა საკითხი თელავის №3 საჯარო სკოლის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების თაობაზე.

*სენატმა გადაწყვიტა, მიეცეს თანხმობა სტუ-ს ადმინისტრაციას ჩაატაროს თელავის №3 საჯარო სკოლის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები.*

**სპიკერი:** განვიხილოთ დღის წესრიგის მეორე საკითხი – სტუ-ს „ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა კვლევითი ცენტრის“ სახელის შეცვლის შესახებ. აკადემიური საბჭოს დადგენილება №605 – მომხსენებელი აკადემიკოსი გიორგი კვესიტაძე.

**პროფ. გიორგი კვესიტაძე:** წარმოგიდგენთ საკითხს „ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა კვლევითი ცენტრის“ სახელის შეცვლის შესახებ. შეგახსენებთ, რომ ბიოტექნოლოგიის კათედრა გადაკეთდა მიმართულებად, რომელიც საკმაოდ აქტიურ რეჟიმში მუშაობს, 2 წლის განმავლობაში ოთხ საერთაშორისო კონფერენციაზე მიიღო მონაწილეობა, აქედან გამომდინარე ცენტრის საქმიანობა და სფერო უფრო გაფართოვდა, და ყოველივე ამის გათვალისწინებით გვინდა, რომ ცენტრს შევუცვალოთ სახელი და ვუწოდოთ „ბიოტექნოლოგიის სამეცნიერო-სასწავლო ცენტრი“.

**პროფ. ნოდარ ქაჯაია:** თქვენი გამოკვლევებისა და პროდუქციის გამოყენება თუ ხდება საქართველოში?

პროფ. გიორგი კვესიტაძე: რა თქმა უნდა, საქართველოში ხდება გამოყენება, კერძოდ კი, სოფლის მეურნეობაში, მედიცინაში და ასე შემდეგ.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეორე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად დამტკიცდა.

#### ბ ა დ ა ვ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2012 წლის 29 თებერვლის №3 სხდომაზე აკადემიკოსმა გიორგი კვესიტაძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ს „ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა კვლევითი ცენტრის“ სახელის შეცვლის შესახებ. აკადემიური საბჭოს 2012 წლის 7 თებერვლის დადგენილება №605.

*სენატმა გადაწყვიტა სტუ-ს ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის “ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა კვლევის ცენტრს” შეეცვალოს სახელი და მას ეწოდოს „ბიოტექნოლოგიის სამეცნიერო-სასწავლო ცენტრი“.*

სპიკერმა, პროფ. ჯემალ გახოკიძემ სენატის წევრებს აუწყა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა, სენატის წევრებს მადლობა გადაუხადა სხდომაში მონაწილეობისთვის და სხდომა დასურულად გამოაცხადა.

სენატის სპიკერი,

პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

სხდომის მდივანი,

სტუდენტი

თამარ ბუზიაშვილი